გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. გარდაბანში აღმაშენებლის ქ. №36-ში მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსი

საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. გარდაბანი 15 მარტი, 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ხანახმედ გარიბოვი – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

მანუჩარ ჯოხაძე- კომისიის წევრი;
ნიკოლოზ დუჩიძე – კომისიის წევრი;

ნოდარ ბერუაშვილი – კომისიის წევრი;

რამაზ ბუდაღაშვილი – კომისიის წევრი;

ოთარ გავაშელიშვილი – კომისიის წევრი;

არ ესწრებოდა:

აზა ონიანი – კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. გარდაბანში აღმაშენებლის ქ. №36-ში მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესყიდვის კონკურსი №352 დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ნიკოლოზ დუჩიძის გამოსვლა, რომელმაც კომისიის სხდომის დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ კონკურსანტის, შპს „გარდაბანპროექტი"-ს მიერ, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში დალუქული პაკეტით იქნა წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია.

განხილვა:

შპს „გარდაბანპროექტი"-ს მიერ ხარვეზით იქნა წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია. კერძოდ: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3 კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3 კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე მოხდეს შპს „გარდაბანპროექტი"-ს დისკვალიფიკაცია.

კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3 კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე მოხდეს შპს „გარდაბანპროექტი"-ს დისკვალიფიკაცია, ვინაიდან

კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. გარდაბანში აღმაშენებლის ქ. №36-ში მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესყიდვის კონკურსი №352 გამოცხადდეს დასრულებული უარყოფითი შედეგით, ვინაიდან კონკურში მონაწილე ერთადერთმა კონკურსანტმა შპს „გარდაბანპროექტ"-მა მიიღო დისკვალიფიკაცია.

3. აღნიშნული საკონკურსო კომისიის ოქმი გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge –ის მეშვეობით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი „კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით"

კომისიის თავმჯდომარე: ხანახმედ გარიბოვი

კომისიის წევრები: მანუჩარ ჯოხაძე

ნიკოლოზ დუჩიძე

ნოდარ ბერუაშვილი

რამაზ ბუდაღაშვილი

ოთარ გავაშელიშვილი